**ტექნიკური დავალება**

**პროექტის დასახელება:**
საქართველოს ბანკის ობიექტი #1-ს ენერგეტიკული მომარაგებისთვის, მონიტორინგის სისტემის მოწყობა.

**პროექტის აღწერა:**
საქართველოს ბანკის ობიექტის ენერგეტიკული მომარაგებისთვის მოსაწყობია მონიტორინგის სისტემა.
აღნიშნული ელ. მომარაგება მოიცავს: $6kV$ ის გამაწილებელ მოწყობილობებს ATS-ით, მართვის და დაცვის აპარატურით ( $ABB\ \ UniSec$ ხუთი უჯრედი და $REF-615F$ დაცვის რელეები) ; ორ ცალ $6/0.4-630\ kVa$ ძალოვან ტრანსფორმატორს; ორ ცალ გენერატორს $500\ kVa$ და $550\ kVa-$ სიმძლავრით; 0,4kV ის ორ ცალ ATS-ს ($Lovato$); UPS-ს $250\ \mathrm{k}VA$ ; დიზელის სარეზერვო 5000ლ. ავზს.

**ძირითადი მოთხოვნები:**

- ადგილზე ვიზიტი და მოწყობილობების შესწავლა შემოთავაზების წარდგენამდე.
- კარადა რომელშიც დამონტაჟებული იქნება მონიტორინგის, გადამცემი მოწყობილობები უნდა იყოს არანაკლებ IP 65 შესრულების;
- მონიტორინგის კარადის კომპლექტაცია, საჭირო სენსორები, სამონტაჟო მასალები და კომპონენტები სრულად უნდა შედგებოდეს სერთიფიცირებული მოწყობილობებისგან.
- კარადის კომპლექტაციაში უნდა იყოს დამოუკიდებელი უწყვეტი კვების წყარო.
- სამონტაჟო სენსორების კაბელები მოთავსებული უნდა ცეცხლმედეგ გარცმაში.
- მონიტორინგის სისტემა უნდა გადმოსცემდეს შემდეგ მინიმალურ ინფორმაციას:
  - ქსელის პარამეტრებს:
    1. $6\ kV$ -ის მხარეს (დენი, ძაბვა, სიმძლავრე, სიხშირე, $cosf$)
    2. $0{,}4\ kV$ -ის მხარეს (დენი, ძაბვა, სიმძლავრე, სიხშირე, $cosf$)
  - ტემპერატურას:
    1. გარე ტემპერტურა;
    2. $6\ kV$ გამანაწილებლის ტემპერატურა;
    3. $0{,}4\ kV$ გამანაწილებლის ტემპერატურა;
    4. ძალოვანი ტრანსფორმატორების ტემპერატურა (ტრანსფორმატორის კორპუსი, სათავსო);
    5. გენერატორების ტემპერატურა (ზეთი,წყალი,საწვავი);
  - $6\ kV$ - ის ძირითადი დაცვის რელეს და ATS- ის მდგომარეობა (ავარიის კოდები, ლოგები)
  - $0{,}4\ kV$ ის ორი ცალი ATS-ის მდგომარეობა და ლოგები;
  - UPS-ის მდგომარეობა და ლოგები;
  - დიზელის მოცულობა ძირითად და სარეზერვო ავზებში;
  - დიზელის შემავსებელი ტუმბოს სამუშაო რეჟიმები;
  - გენერატორების მდგომარეობა და ლოგები;
- სისტემა ინფორმაციას უნდა გადმოსცემდეს საქართველოს ბანკის მონაცემთა ბაზაში დამვეთთან შეთანხმებული პროტოკოლით.
- სისტემა შეტყობინობინებებს უნდა აგზავნიდეს ავარიულ რეჟიმებსა და პარამეტრების დარღვევის შემთხვევაში (***Email*** ; ***SMS***).
- მონაცემების შენახვა შესაძლებელი უნდა იყოს ერთი თვის განმავლობაში.

- წრედის ყველა კაბელს და საკლემო მომჭერს უნდა გააჩნდეს სქემის შესაბამისი მარკირება. დენური წრედები უნდა შესრულდეს სპილენძის 2.5 მმ$^2$ კვეთის სადენით, ხოლო დანარჩენი წრედები უნდა შესრულდეს სპილენძის 1.5 მმ$^2$ კვეთის სადენით.
- შემსრულებელმა დამკვეთთან წინასწარ უნდა შეათანხმოს წრედების შეერთების სქემები, გამოყენებული აპარატურა და ინფორმაციის გადმოცემის ინტერვალი.

**სამონტაჟო სამუშაოები:**

- შემსრულებელმა ყველა სამუშაო უნდა ჩაატაროს საქართველოში მოქმედი ნორმებისა და სტანდარტების გათვალისწინებით.
- შემსრულებელმა უნდა წარმოადგინოს დამონტაჟებული მოწყობილობების ყველა ტექნიკური დოკუმენტაცია (ტექნიკური პასპორტი, ექსპლუატაციის სახელმძღვანელო და ა.შ.).

**საგარანტიო ვადები:**

- გამოყენებულ მოწყობილობებზ-ქარხანა/დამამზადებლის მიერ მინიჭებული ვადა.
- შესრულებულ სამუშაოებზე  - არა ნაკლებ 2 წელი.